№870 2015 წლის 24 აპრილი ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირ - საქართველოს მხარდაჭერისა და განვითარების საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდს შორის დასადები „გრანტის გაცემისა და გამოყენების შესახებ“ ხელშეკრულების პროექტის მოწონების თაობაზე

„აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გრანტებთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 მარტის №126 დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოწონებულ იქნეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირ - საქართველოს მხარდაჭერისა და განვითარების საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდს შორის დასადები „გრანტის გაცემისა და გამოყენების შესახებ“ ხელშეკრულების პროექტი.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**